# სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება
# № 299

ქ. თბილისი 14 დეკემბერი 2016 წელი

ერთი მხრივ, სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი თავმჯდომარის გიორგი სამანიშვილის სახით და მეორე მხრივ, შპს ,,მულტიტესტი" (შემდგომში – „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ლევან კალანდაძის (პ/ნ:01018001271) სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებისა და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის №53 განკარგულების თანახმად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე სხვა დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება" - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

## 2. ხელშეკრულების საგანი

სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით („ღვინის ლაბორატორიული კვლევის" ქვეპროგრამით) ლაბორატორიული კვლევის მომსახურების შესყიდვა (CPV-71900000 კოდი) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. მომსახურების ცალკეული კომპონენტები და ღირებულებები მოცემულია დანართი №1-ში, რომელიც თან ახლავს ამ ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

## 3. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

3.1. მომსახურების გაწევის ვადები: შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 23 დეკემბრის ჩათვლით.

3.2. მომსახურების გაწევის ადგილი: ქ. თბილისი, სოფ. დიღომი, დიდგორის ქ. №13, შპს „მულტიტესტი".

## 4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს 4700.00 (ოთხი ათას შვიდასი) ლარს.

4.2 ცალკეული კომპონენტების ღირებულებები მოცემულია დანართი №1-ში.

4.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მომსახურების ღირებულებას, ასევე ამ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

## 5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს წერილობითი მიმართვის საფუძველზე, შემსყიდველის მიერ მიწოდებული ღვინის და სპირტიანი სასმელების ნიმუშების ლაბორატორიული გამოკვლევა და დასკვნის გაცემა, ლაბორატორიული გამოკვლევის ჩატარების თაობაზე სააგენტოს მიმართვის შესაბამისად (დადგენილ ვადაში). მიმართვა დანართი №2 თან ახლავს ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;
ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;
გ) შეასრულოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.
ბ) უზრუნველყოს ლაბორატორიული გამოკვლევის ჩასატარებლად, ნიმუშების მიმწოდებლისათვის წარდგენა ერთჯერადი მუყაოს ყუთით ზედა და ქვედა მხრიდან დალუქული სპეციალურნომრიანი ერთჯერადი წებოვანი ლენტით.

5.3 შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებელს ნიმუშები წარუდგინოს ეტიკეტის და სხვა ამომცნობი ნიშნების გარეშე - დაშიფრული სახით;

5.4 მიმწოდებელს უფლება აქვს მოითხოვოს შემსყიდველისგან ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

## 6. ხარისხი

გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.

## 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველი უფლება აქვს, მომსახურების გაწევის ნებისმიერ ეტაპზე, განახორციელოს ამ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი. ასეთ შემთხვევაში, კონტროლს განახორციელებს სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს მონიტორინგის სამმართველო.

7.2 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენლის (წარმომადგენლები, საჭიროების შემთხვევაში ასევე მოწვეული ექსპერტი) მიერ არასათანადო მომსახურების აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან დაუყოვნებლივ გამოასწოროს წუნი. იმ შემთხვევაში თუ არასათანადო მომსახურების (წუნის) გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს დაუბრუნოს აღნიშნული არასათანადო (წუნდებული) მომსახურების ღირებულება;

7.3 ამ მუხლის 7.2 პუნქტით გათვალისწინებული არასათანადო მომსახურების გამოსწორება უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე.

## 8. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურების მიღება დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

## 9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;
ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, ამ ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

9.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულება ყოველთვიურად შესაბამისად გაფორმებული (კონკრეტული) მიღება-ჩაბარების აქტის

საფუძველზე, მისი გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

9.3 თუ ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხროციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

## 10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულებისას მხარეებს წარმოეშობათ რაიმე ხელშემშლელი გარემოებები, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

## 11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ხელშეკრულების მე–3 მუხლის 3.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადების გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე კონკრეტული გასაწევის მომსახურების ღირებულების 0.07 %-ის ოდენობით.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით და დასტურდება ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

12.2 თუ წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შესაბამისი ინფორმაციის თაობაზე შეატყობინოს მეორე მხარეს.

## 13. დავების გადაწყვეტა

13.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება მოლაპარაკების გზით.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.3. წინამდებარე მუხლის 13.1. პუნქტით გათვალისწინებული მოლაპარაკების პროცესი იწყება ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ მეორე მხარისთვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით.

## 14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

## 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

## 16. ფორს-მაჟორი

16.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, პირველივე შესაძლებლობისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს ასეთი გარემოების დადგომიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

## 17. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი - შემსყიდველს.

## 18. მხარეთა რეკვიზიტები:

| <u>შემსყიდველი</u> | <u>მიმწოდებელი</u> |
|---|---|
| ...ეროვნული სააგენტო | შპს „მულტიტესტი" |
| ...ავმჯდომარე | დირექტორი |
| ...ორგი სამანიშვილი | ლევან კალანდაძე |
| ...k 204446965 | ს/კ 205025676 |
| ...ურიდ. მის.: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6 | მის: ქ. თბილისი, სოფ. დიღომი,დიდგორის ქ. N 13. |
| ...აბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, | საბანკო რეკვიზიტები: სს „ თი ბი სი ბანკი" |
| ...k. TRESGE22 a/a 200122900 | ბ.კ. TBCBGE22 |
| ...ელ: 2 97 41 03 | ა/ა GE24TB0600000360200314 |
| | ტელ.: 2 14 48 48 |

გიორგი სამანიშვილი

ლევან კალანდაძე

*დანართი №1*

ღვინის კომპონენეტების ფასები

| | **ღვინის ანალიზი** ST-1 GOST | ფასი |
|---|---|---|
| 1 | ეთილის სპირტის მოცულობითი წილი, % | 9,32 |
| 2 | შაქრების მასური კონცენტრაცია, გ/დმ$^3$ | 8,80 |
| 3 | ტიტრული მჟავების მასური კონცენტრაცია | 5,60 |
| 4 | აქროლადი მჟავების მასური კონცენტრაცია | 7,80 |
| 5 | საერთო გოგირდოვანი მჟავის მასური კონცენტრაცია, მგ/დმ$^3$ | 3,91 |
| 6 | თავისუფალი გოგირდოვანი მჟავის მასური კონცენტრაცია, მგ/დმ$^3$ | |
| 7 | დაყვანილი ექსტრაქტის მასური კონცენტრაცია, გ/დმ$^3$ | 0,00 |
| 8 | რკინის მასური კონცენტრაცია, მგ/დმ$^3$ | 20,00 |
| 9 | სპილენძის მასური კონცენტრაცია, მგ/დმ$^3$ | 20,00 |
| 10 | ტყვიის მასური კონცენტრაცია, მგ/დმ$^3$ | 20,00 |
| 11 | დარიშხანის მასური კონცენტრაცია, მგ/დმ$^3$ | 23,00 |
| 12 | კადმიუმის მასური კონცენტრაცია, მგ/დმ$^3$ | 20,00 |
| 13 | ვერცხლისწყლის მასური კონცენტრაცია, მგ/დმ$^3$ | 23,00 |
| 14 | თუთიის მასური კონცენტრაცია, მგ/დმ$^3$ | 20,00 |
| 15 | ცეზიუმი-137 ბკ/ლ | 15,00 |
| 16 | სტრონციუმი-90 ბკ/ლ | 15,00 |

| | **ღვინის ანალიზი** VI-1 **თეთრი** | ფასი |
|---|---|---|
| 1 | ეთილის სპირტის მოცულობითი წილი, % | 9,32 |
| 2 | შაქრების მასური კონცენტრაცია, გ/დმ$^3$ | 8,80 |
| 3 | ტიტრული მჟავების მასური კონცენტრაცია | 5,60 |
| 4 | აქროლადი მჟავების მასური კონცენტრაცია | 7,80 |
| 5 | საერთო გოგირდოვანი მჟავის მასური კონცენტრაცია, მგ/დმ$^3$ | 3,91 |
| 6 | თავისუფალი გოგირდოვანი მჟავის მასური კონცენტრაცია, მგ/დმ$^3$ | |
| 7 | დაყვანილი ექსტრაქტის მასური კონცენტრაცია, გ/დმ$^3$ | 0,00 |
| 8 | რკინის მასური კონცენტრაცია, მგ/დმ$^3$ | 20,00 |
| 9 | სპილენძის მასური კონცენტრაცია, მგ/დმ$^3$ | 20,00 |
| 10 | ტყვიის მასური კონცენტრაცია, მგ/დმ$^3$ | 20,00 |
| 11 | დარიშხანის მასური კონცენტრაცია, მგ/დმ$^3$ | 23,00 |
| 12 | კადმიუმის მასური კონცენტრაცია, მგ/დმ$^3$ | 20,00 |
| 13 | ვერცხლისწყლის მასური კონცენტრაცია, მგ/დმ$^3$ | 23,00 |
| 14 | თუთიის მასური კონცენტრაცია, მგ/დმ$^3$ | 20,00 |
| 15 | საერთო მოცულობითი სპირტშემცველობა, % | 0,00 |
| 16 | ჯამური ექსტრაქტის მასის კონცენტრაცია, მგ/დმ$^3$ | 0,00 |

| | | |
|---|---|---|
| 17 | ლიმონმჟავას მასური კონცენტრაცია, მგ/დმ$^3$ | 30,75 |
| 18 | ცეზიუმი-137 ბკ/ლ | 15,00 |
| 19 | სტრონციუმი-90 ბკ/ლ | 15,00 |

| | **ღვინის ანალიზი VI-1 წითელი** | ფასი |
|---|---|---|
| 1 | ეთილის სპირტის მოცულობითი წილი, % | 9,32 |
| 2 | შაქრების მასური კონცენტრაცია, გ/დმ$^3$ | 8,80 |
| 3 | ტიტრული მჟავების მასური კონცენტრაცია | 5,60 |
| 4 | აქროლადი მჟავების მასური კონცენტრაცია | 7,80 |
| 5 | საერთო გოგირდოვანი მჟავის მასური კონცენტრაცია, მგ/დმ$^3$ | 3,91 |
| 6 | თავისუფალი გოგირდოვანი მჟავის მასური კონცენტრაცია, მგ/დმ$^3$ | |
| 7 | დაყვანილი ექსტრაქტის მასური კონცენტრაცია, გ/დმ$^3$ | 0,00 |
| 8 | რკინის მასური კონცენტრაცია, მგ/დმ$^3$ | 20,00 |
| 9 | სპილენძის მასური კონცენტრაცია, მგ/დმ$^3$ | 20,00 |
| 10 | ტყვიის მასური კონცენტრაცია, მგ/დმ$^3$ | 20,00 |
| 11 | დარიშხანის მასური კონცენტრაცია, მგ/დმ$^3$ | 23,00 |
| 12 | კადმიუმის მასური კონცენტრაცია, მგ/დმ$^3$ | 20,00 |
| 13 | ვერცხლისწყლის მასური კონცენტრაცია, მგ/დმ$^3$ | 23,00 |
| 14 | თუთიის მასური კონცენტრაცია, მგ/დმ$^3$ | 20,00 |
| 15 | საერთო მოცულობითი სპირტშემცველობა, % | 0,00 |
| 16 | ჯამური ექსტრაქტის მასის კონცენტრაცია, მგ/დმ$^3$ | 0,00 |
| 17 | ლიმონმჟავას მასური კონცენტრაცია, მგ/დმ$^3$ | 30,75 |
| 18 | მალვიდინის დიგლუკოზიდის მასური კონცენტრაცია, მგ/დმ$^3$ | 34,25 |
| 19 | ცეზიუმი-137 ბკ/ლ | 15,00 |
| 20 | სტრონციუმი-90 ბკ/ლ | 15,00 |

საკონიაკე სპირტის კომპონენტების ფასები

| | **კომპონენტები** | ფასი |
|---|---|---|
| 1 | ეთილის სპირტი | 15,00 |
| 2 | უმაღლესი სპირტები | 70,00 |
| 3 | ეთერები | 12,40 |
| 4 | ალდეჰიდები | 12,40 |
| 5 | ფურფუროლი | 12,40 |
| 6 | გოგირდოვანი მჟავის კონც. | 3,91 |
| 7 | რკინა | 15,00 |
| 8 | სპილენძი | 15,00 |
| 9 | ტყვია | 15,00 |
| 10 | თუთია | 15,00 |

| | | |
|---|---|---|
| 11 | დარიშხანი | 15,00 |
| 12 | კადმიუმი | 15,00 |
| 13 | ვერცხლისწყალი | 15,00 |
| 14 | მჟავიანობა | 12,40 |
| 15 | ტუტიანობა | 5,00 |
| 16 | მეთანოლი | 70,00 |
| 17 | მდგრადობა კალციუმიანი შემღვრევის მიმართ | 5,00 |
| 18 | კალციუმის განსაზღვრა | 20,00 |
| 19 | შაქარი | 13,20 |
| 20 | ცეზიუმი | 15,00 |
| 21 | სტრონციუმი | 15,00 |
| 22 | სინჯი სისუფთავეზე | 8,00 |
| 23 | ორგანოლეპტიკა | 4,00 |

<u>შემსყიდველი</u>

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო

თავმჯდომარე

გიორგი სამანიშვილი

<u>მიმწოდებელი</u>

შპს „მულტიტესტი“

დირექტორი

ლევან კალანდაძე

დანართი №2

---

(მიმართვის თარიღი)

---

(ლაბორატორიის დასახელება)

# მიმართვა №

## ღვინისა და სპირტიანი სასმელების ლაბორატორიული

## გამოკვლევის ჩატარების თაობაზე

ჩვენს შორის 20---- წლის “ ” ---------- გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების (№-------) საფუძველზე, ლაბორატორიული გამოკვლევის მიზნით წარმოგიდგენთ შემდეგი ალკოჰოლიანი სასმელების ნიმუშებს:

---

(პროდუქციის სახეობა, დასახელება, ლუქის ნომერი)

---

სულ ---------- ნიმუში. (ნიმუშის აღების აქტი თან ერთვის).

გთხოვთ მოგვცეთ დასკვნა შემდეგ მახასიათებლებზე: ----------

---

----------, ----------საათის განმავლობაში.

სსიპ “ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე” (სახელი, გვარი)

---

“ნიმუშები ჩავაბარე”

სსიპ “ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი” (სახელი, გვარი)

“ნიმუშები მივიღე”

ლაბორატორიის წარმომადგენელი (სახელი, გვარი)